საქართ მემარც. სოც.-ფედ. სარევ. პარტია

ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი.
1 გვ. 20,000 მან.—ნონპარელი
4 „ 10,000
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 500,000 მან.
4 „ 300,000 „

№ 397 ხუთშაბათი, იანვრის 18 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000

ყოველდღიური საპოლიტიკო სალიტერატურო გაზეთი
„ტრიბუნა“
1923 წლის იანვრის პირველიდან ელირება ხელის მოწერათათვის დაგზავნით და სახლზე მიტანით
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომრის ფასი 1923 წლის იანვრის პირველიდან ყველგან 10,000 მან.
გაზეთს ჰყავს საკუთარი კორესპონდენტები: **პეტროგრადში, მოსკოვში** და საქართველოს მნიშვნელოვან **დაბა-ქალაქებში.**
ხელის მოწერა მიიღება ყოველდღე, გარდა უქმეებისა გაზეთის კანტორაში: ტფილისი, სასახლის ქ. № 6. ტელეფონი—10—34 ფოსტის ყუთი № 190.

17 იანვარს 1923 წ. ქალაქ ტფილისში მოწვეულია სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სასწრაფო სესია

სესიის დღის წეს-რიგი;

1. რაპალოს ხელშეკრულების დამტკიცება—მომხ. (შ. ელიავა).
2. საკავშირო ხელშეკრულების რატიფიკაცია—მომხ. (მ. ორახელაშვილი).
3. სახალხო განათლების კომისარიატის მოხსენება-მომხს. (დ. კანდელაკი).
4. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის მოხსენება (ვ. სტურუა).
5. მიმდინარე საკითხები.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
265 6—6 **თ. კალანდაძე.**

ევროპის ჰეგემონი

ინგლისი სამართლიანად ითვლებოდა ევროპის და მსოფლიოს ჰეგემონათაც. ინგლისი ბატონობდა ზღვაზედ და თავისი ფაბრიკატებით ასაზრდოებდა მსოფლიოს უდიდეს ნაწილებს. როგორც ეკონომიურად ისე პოლიტიკურად ინგლისი ფაქტიური ბრძანებელი იყო მსოფლიოსი. ევროპის მაშტაბში ინგლისს მძლავრი კონკურენტი აღარ ყავდა, მაგრამ ერთი მხრით შეერთებული შტატების სამრეწველო აღორძინებამ და მეორე მხრით გერმანეთის წარმოების ზრდამ მძლავრი კონკურენცია მოუვლინა მსოფლიოს ჰეგემონს.

მართალია დღეს გერმანეთი საექსპლოატაციო ბაზას წარმოადგენს მოკავშირეებისათვის, მაგრამ მეორე მხრით შეერთებული შტატების მატერიალური რესურსები კიდევ უფრო გიგანტიურად განვითარების შემდეგ, სცემს, არა მარტო ინგლისის ჰეგემონობის როლს, არამედ საერთოდ ევროპის ჰეგემონობასაც.

არავისთვის საიდუმლოებს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ეკონომიური სიმძიმის ცენტრი დაშორდა ევროპის კონტინენტს, ევროპამ დაჰკარგა მსოფლიოს ეკონომიური ცხოვრების ჰეგემონობა.

დღეს თვით ევროპის ჰეგემონობისათვის სწარმოებს ბრძოლა.

საფრანგეთი რურის ოლქის დაკავების შემდეგ არსებითად ევროპის ჰეგემონათ ხდება. მის ხელში იქნება უდიდესი ნაწილი ევროპის რკინისა, ქვა-ნახშირისა და სხ.

მკითხველებისათვის ცნობილია საფრანგეთ-ინგლისის ურთიერთობა, მათ შორის ადგილი აქვს ღრმა ანტაგონიზმს და ეს ანტაგონიზმი. ცხადათ სჩანს ევროპის პოლიტიკური ვითარების ყოველგვარ ნიუანსებში.

დღეს ლოზანაში თუ საფრანგეთი მხარს არ უჭერს ოსმალეთისადმი ულტიმატუმის წარდგენას კერზონის მერ ინგლისი თავისი მხრით წინააღმდეგია საფრანგეთის პოლიტიკისა გერმანეთის მიმართ.

ძალთა დაპირისპირება და საფრანგეთ—ინგლისის ურთიერთობა ლოღიკურ განვითარების ფაზისში არის. ადრე თუ გვიან საკითხი პირდაპირ დაისმება ევროპის ჰეგემონობისა ინგლის-საფრანგეთს შორის, თუნდაც ეს საკითხი ხმლით იქნეს გადასაწყვეტი.

ამ მხრივ ბევრის მთქმელია ლოზანას კონფერენცია და რურის ოლქის ოკუპაციის გარშემო შექმნილი ამბები.

საფრანგეთის გაძლიერება ინგლისის დაცემას უდრის. საფრანგეთი გახდება ევროპის პოლიტიკური ცხოვრების ბატონ-პატრონი თუ კი იგი არ შეხვდა მოწინააღმდეგეს გერმანეთის ოლქების ოკუპაციების საქმეში.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ინგლისი არც ასე იოლად დათმობს თავის ჰეგემონობას, ამ მხრივ ინგლის—საფრანგეთის ურთიერთობა შეიძლება ვერ მოთავსდეს კერზონისა და პუანკარეს დებატებში და ხმალი აღიმართოს იქ, სადაც ენა უძლური გამოდგება.

იმპერიალისტთა კარიერისათვის ბრძოლაში მუშათა სისხლი იღვრებოდა ყოველთვის და დღესაც მოსალოდნელია ასეთი მოვლენა.

ომის სუნი კელავ აწუხებს კაბინეტებს და მუშათა კლასს მართებს ფხიზელი მოქმედება, რომ გაერთიანებული ფრონტით შეებრძოლოს ახალი ომის საშიშროებას.

მუშათა კლასისათვის მიუღებელია, როგორც ინგლისის ისე საფრანგეთის ბურჟუაზიის ჰეგემონობა და ევროპის ჰეგემონად თავს თავი უნდა გამოაცხადოს. მუშათა კლასმა უნდა იხსნას კაცობრიობა ახალ სასაკლაოსაგან და სამარადისო საზღვარი უნდა დაუდოს იმპერიალისტურ თავხედობას.

ნარკვევი

„პანამა“ ინგლისის პარლამენტში.

გაზ. „იზვესტია“ ეხება ინგლისის პარლამენტში უკანასკნელად მომხდარ სკანდალს სუდანის საკითხთან დაკავშირებით. მოგვყას ეს წერილი შემოკლებით:

ინგლისის თემთა პალატაში ადგილი ქონდა სკანდალს, რომელიც „პანამას“ მოგვაგონებს, ის დაკავშირებული იყო სუდანის საკითხთან. ალბად, იმპერიალისტური ეკსპანსიას უკვე აღარ შეუძლია უპირადო სკანდალათ გასძლოს, რომელიც ფულის ნიადაგზე აღმოცენებული. საქმე შემდეგშია: პალატის ძიერ მიღებული სესხი 3 მილიონ ნახევარ გირვანქისა სუდანის მთავრობის სასარგებლოდ, ამ უკანასკნელის მიერ კერძო სინდიკატისათვის იქნა გადადებული, რომლის დირექტორად ასკვიტის მესამე შვილია, ბრიგადის გენერალი; აქ რომ უბრალო „შემთხვევა“ არ არის იქიდანაც სჩანს, რომ სინდიკატში ამ ასკვიტს გარდა, ისეთ ინტერნაციონალურ ბირჟის ხალხთან ერთად, როგორიც არიან ლესლი ერკარტი, მონაწილეობენ აგრეთვე: ორი ბიძაშვილი ასკვიტისა, სამხედრო მინისტრი ლორდი დერბი, ცოლი მეორე მინისტრისა, მისტერ აისეკსი, ადმირალი სერ ჰერსი სკოტტი, კამპანიის დირექტორი, რომელიც ფლობს გაზეთებს „დეილი ეკსპრესს“ და „ზენდეი ეკსპრესს“, იგივე პარლამენტის წევრი ფრედერიკ ვაიზი. ამ ბამბის სინდიკატის სასარგებლოდ უკვე წავიდა მეორე ძველი სესხი 400,000 გირ. სინდიკატის დივიდენტი გასული წლის 35 პროცენტს შეადგენს. ყოველივე ეს კერძო ჯიბეებში მიდის. ამავე დროს კი სწორედ 3 მილიონ ნახევარ გირ. დიდი შრომით იქნა გამოგლეჯილი ბონარ ლოუდან უმუშევრების დასახმარებლად.

ამ სკანდალთან დაკავშირებით გვაგონდება ვასილი ზარახოვის, იგივე სერ ბეზილის „გამოუცნობი ფიგურა“, რომელმაც დიდი როლი შეასრულა უკანასკნელ ბერძენ-ოსმალთა ომში პოლკოვნიკი რიპონგტონი თავის მემუარებში მსოფლიო ომის შესახებ ზახაროვზე შემდეგს ამბობს: „სერ ბეზილი უმრავლესობისათვის ომის საიდუმლო ადამიანათ რჩება; სამაგიეროდ ის მუდმივ და მჭიდრო კავშირში იმყოფება ჩვენ მინისტრებთან. მე ხშირად მსმენია, თუ მისი სახელი როგორი შიშით წარმოითქმოდა ევროპაში. შესაძლებელია ამ გამოუცნობ პიროვნება და მისმა გამოცნობილმა მილიონებმა მოფინონ სინათლე აგრედვე ბნელ ისტორიას იმის შესახებ, თუ როგორ იყო დაფარული ლოიდ-ჯორჯისაგან გუნარისის დეპეშა, რომელიც მეტად მკრთალ საღებავებით ასწერდა სამხედრო მდგომარეობას მცირე აზიაში. ამ ამოტივტივეკულ „პანამასთან“ ერთად საინტერესოა აგრედვე ის, რომ სერ ალფრედ მონდი, ყოფილი მინისტრი და ახლო მდგარი ლოიდ-ჯორჯისა, ეკუთვნის მონდტის ოჯახს, რომელსაც ხელთ უპყრია მსოფლიო მონოპოლია გერმანიის ქიმიური მრეწველობის ფაბრიკატების გაყიდვისა; ამ საფუძველით ყოფილი პრემიერის არა კეთილმოსურნენი პირად მოტივებს ხედავდენ მის მედგარ წინააღმდეგობაში რურის ოლქის საფრანგეთის მიერ ოკუპაციისა. ეს ოკუპაცია ჩაკლავდა გერმანიის ქიმიურ მრეწველობას და მასთან ერთად მონდებისმონოპოლიას.

სუდანის „პანამის“ გამო თემთა პალატაში შეტანილი იქნა ინტერპელიაცია ტომას ჯონსტონის მიერ და „დეილი გერალდი“ გრძელ სიას ბეჭდავს მინისტრების, გენერლების და სხვებისას, რომლებიც მონაწილენი არიან სუდანის სინდიკატის. აღსანიშნავია აგრედვე, რომ სუდანის საკითხი სადაო საკითხთაგანია. ინგლისისა და ახლად „დამოუკიდებელ სახელმწიფოს“ ეგვიპტეს შორის ურთიერთობაში. თავისთავად დგება საკითხი, ემსახურება თუ არა პირად ინტერესებს ინგლისის იმპერიალიზმის ეს პოლიტიკა, რომელიც ეგვიპტეს ნილოსის ზედა დენით თავისუფლად სარგებლობის უფლებას ართმევს.

ზოგი რამ

1. ქართული უმაღლესი ფილარმონია

ძველი რეჟიმის დროს ტფილისის სახელმწიფო კონსერვატორია სამუსიკო სკოლა იყო, სადაც სწავლობდნენ შეძლებული ვაჭარ მოხელის შვილები, ვისთანაც ღარიბ ქართულ ახალ გაზრდობას არც კი მიუწვდებოდა. მუსიკა ხვედრი იყო იმათი, ვისაც სიამე ამა სოფლისა განცხრომაში ამყოფებდა.

ქართველ ხელ მოკლე ახალგაზრდობას, გზა ჰქონდა შეკრული დედაქალაქში, რომ მიეღო სამუსიკო განათლება, ვიდრე დაარსდებოდა სამუსიკო სკოლა ქართული ფილარმონიული საზოგადოებისა. ხსენებულმა სკოლამ თავი მოუყარა ქართული სამუსიკო სწავლის მსურველ ახალგაზრდობას ასე რომ საბჭოებრივი წესწყობილების დამყარების შემდეგ გამოცხადებულ იქმნა მეორე სახელმწიფო კონსერვატორიად, მაგრამ მითქმა მოთქმაც თანდაჰყვა, ყბად აღებულ იქმნა, როგორც ისეთი. რომელიც ვითომც საჭირო არ იყო. მიუხედავად ამისა მეორე კონსერვატორია თავის მუშაობას მაინც განაგრძობდა, ასე რომ ეხლა მოწაფეთა რიცხვი მოეპოება 825, რომელთა შორის ქართველია 425, სომეხი 230. რუსი 121, ებრაელი 29 ხოლო დანარჩენი ეროვნებანი 20. შედგენილობით ნახევარია ქართველი ახალგაზრდობა, რომელსაც ასწავლიან ქართულად, სხვები კი შეადგენენ პარალელ კლასებს, სადაც სწავლება რუსულად სწარმოებს. მოსწავლენი თითქმის ყველა ხელ მოკლე შშობელთა შვილები არიან, მაგრამ ქართველნი მათ შორის უფრო ღარიბნი. დღეს მეორე სახელმწიფო კონსერვატორიას გამოეცვალა თავისი სახელი და უმაღლესი მთავრობის განკარგულებით წოდებულ იქმნა **ქართულ უმაღლეს ფილარმონიად.** თუმცა სახელი გამოეცვალა, პროგრამა უმაღლესი სკოლისა ისევა აქვს აღმოსავლეთის მუსიკის კურსის დამატებით. უმაღლესი ფილარმონიის მესვეურები დირექტორით დიმიტრი არაყიშვილით დაწყებული უკანასკნელ ოსტატამდე მადლობის ღირსნი არიან, რომ მშრომელთა კლასის ახალგაზდობას გზა გაუხსნეს მაღალ ესთეტიკური სამუსიკო განათლებისა, რაც აქნობამდე მიუწვდომელი იყო მათთვის.

2. ქართველ ახალგაზდა მუსიკოსთა საზოგადოება

ამ გაზეთში ამას წინ მოთავსებული ერთი ჩემი წერილი ეხებოდა ქართული ოპერის ბედსა. ქართული ოპერა დღეს ორად ორი მიდის **აბესალომ** და **ეთერი** და **ქეთო** და **კოტე**, დანარჩენი ოპერები სახელმწიფო აკადემიური თეატრისა კი რუსულია.

თუმცა ქართული ოპერის მდგომარეობა ასეთია, ქართველ საზოგადოებას ჯერ კიდევ არ მოჰბეზრებია ზემოხსენებული ორი ოპერეტის მოსმენა და სიამოვნებით ესწრება. გაზეთებმა გვაუწყა ამბავი აგრეთვე ევროპული კლასიკური ოპერების ქართულად დადგმისა, მაგრამ დირექციას ოფიციალად ჯერ არაფერი განუცხადებია. ასე რომ დანამდვილებით არც ვიცით თუ, ევროპული ოპერების ქართულად მოსმენის ღირსი როდის შეიქნება ქართული პროლეტარიატი, რომელმაც მხოლოდ ქართული იცის.

აი ეს იყო მიზეზი, რომ სიამოვნებით შევხვდით ერთ ამბავს, რომელიც **ტრიბუნაში** ამოვიკითხეთ. ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსებს დაუარსებიათ სამუსიკო საზოგადოება. რომელსაც მუსიკის გავრცელება განუზრახავს აგრეთვე ქართული ოპერების დადგმითა. საზოგადოებას ჰყავს მომღერალ დამკვრელთა გუნდი, რომელიც საქმეს გაუადვილებს ინიციატორებს. ეს ითქმის განსაკუთრებით დამკვრელთათვის, რომელნიც ყველანი დამაარსებელნი წევრნი არიან საზოგადოების და ზოგიერთი მათგანი ხმა-საკრავ შეწყობაში საკმაოდ განვითარებულიც. საზოგადოება პირველად აპირებს გამოსვლას კონცერტით რომელიც ქართული და ევროპიული მუსიკის საუკეთესო ნიმუშებისაგან შედგენილ იქნება. გულმოდგინება და ხალისი, რომლითაც მოპყრობიან საქმეს ახალგაზრდა მუსიკოსები უტყუარი ნიშანია იმისი, რომ ქართულ სამუსიკო ხელოვნებას დასდგომია განთიადი, რომელსაც უნდა მოჰყვეს ამოსვლა ბრწყინვალე მზისა.

შორს არ არის ის დღე, რომ როგორც ქართველ მწერლებს დაუარსებიაო კავშირი, ისევე ქართველი მუსიკოსები შეჰქმნიან ერთ მჭიდრო ოჯახსა, რომელიც ქართული მუსიკის დაუვსებელ კერად გადაიქცევა. გაფანტულ ქართველ მომღერლებს, დამკვრელებს, ხმა-საკრავ შემწყობლებს მოიკეკვარებს თავის მოყრა უნდა. ამ დიადი საკულტურო საქმის გაძღოლა შეუძლია ისეთ საზოგადოებას, რომელიც მხოლოდ ამისთვის გამოიდებს თავსა. ასეთი საზოგადოება კი იქნება ქართულ ახალგაზდა მუსიკოსთა საზოგადოება.

დრო არის, ქართული ოპერა ისევე, როგორც ქართული დრამა, დამოუკიდებელი არსებობის გზას დაადგეს.

პეტრე მირიანიშვილი.

რურის ოლქის ოკუპაცია

ინგლისის მუშათა პარტიის პროტესტი.

მოსკოვი. 17 იანვარი, ინგლისის მუშათა პარტიამ და ტრედ უნიონების საბჭომ გამოაქვეყნეს პროტესტი ინგლისის მთავრობის წინააღმდეგ, რომელმაც ნება დართო ფრანგებს წინ წაეწიათ რეინის ოლქში სწორედ იმ ადგილებში, რომელიც დაპერილი იყო ბრიტანეთის ჯარების მიერ.

ნახშირის მიწოდება.

მოსკოვი. 17 იანვარი. ესსენიდაე მიღებულ ცნობის თანახმად რურის ოლქში საფრანგეთის უმაღლეს კომისარს და გერმანიის მრეწველთ შორის შეთანხმება ნახშირის მიწოდების საკითხის შესახებ ვერ იქნა მიხწეული, გერმანიის მთავრობის ბრძანების გამო, რომლითაც აკრძალულია საფრანგეთისათვის და ბელგიისთვის ნახშირის მიწოდება.

ამის გამო, გენერალმა დეგუტმა უბრძანა საფრანგეთ ბელგიის ჯარებს წაიწიონ წინ დორტმუნტისაკენ.

ნახშირის რეკვიზიცია.

მოსკოვი. 17 იანვარი. საფრანგეთის მთავრობამ დაადგინა თუ საჭიროება მოითხოვს მოახდინოს ნახშირის რეკვიზიცია.

გადასახადი ნახშირზე.

მოსკოვი. 17 იანვარი. გერმანიის პრესა სასტიკ პროტესტს აცხადებს საფრანგეთის ინჟენერთა კომისიის მიერ დაკავეულ ოლქებში ნახშირზე გადასახადის გადიდების გამო.

მუშების დემონსტრაცია

მოსკოვი. 17 იანვარი. მიუხედავად საფრანგეთის ხელისუფლების აღკრძალვისა, დაკავებულ რურის ოლქში გაიმართა მუშათა დემონსტრაცია. მოხდა ნახევარი საათის გაფიცვა.

ფრანგების მუქარა.

მოსკოვი. 17 იანვარი. ნახშირის მრეწველობის წარმომადგენლის ტისენის განცხადების საპასუხოთ გერმანიის მთავრობის მიერ ნახშირის სარეპარაციო მიწოდების აკრძალვის შესახებ, საფრანგეთის ხელისუფლება იმუქრება ნახშირის მრეწველთა დატუსაღებით და მაღაროების კონფისკაციით.

ბოხუმოს დაკავება

ჰანოვერი. 17 იან. საფრანგეთის მნიშვნელოვანმა ჯარებმა დაიკავეს ბოხუმი და წაიწიეს წინ დორტმუნდის მიდამოებისაკენ, რომელიც უნდა დაეკავებიათ 16 იანვარს, ბოხუმის მცხოვრებლები აღშფოთებული არიან. თანდათან ძვირდება სურსათ-სანოვაგე და არის აგრეთვე საცხოვრებელ ბინების ნაკლებობა.

გერმანიის ნახშირის რეკვიზიცია.

ჰანოვერი. 17 იან. საფრანგეთის მთავრობამ დაადგინა მოახდინოს რურის ოლქის მთელი ნახშირის რეკვიზიცია მიუხედავად ამისა, ეს დადგენილება შეჩერებულ იქმნა, რადგან გერმანიის მსხვილმა მრეწველებმა განუცხადეს გენერალურ ინსპექტორს კოსტოეს, რომ ნახშირის მიწოდება ისევ გაგრძელდება.

სისხლის მღვრელი შეტაკებანი სპაში

ჰანოვერი 17 იანვარი. სპაში გერმანელებმა (გამოტოვებულია) დაიწყეს სომღერა, რომელიც მიმართული იყო საფრანგეთის წინააღმდეგ. ამის საპასუხოდ ფრანგებმა სროლა დაუწყეს გერმანელებს თოფებიდან და შემდეგ ტყვიისმფრქვეველებიდანაც. ამ სროლის დროს დაჭრილია 2 გერმანელი და მოკლულია 1.

შეტაკებანი ბოხუმში

რომი 16 იანვარი გაზეთების ცნობით. გუშინ საღამოს ბოხუმში საფრანგეთის გენერალის დემუტის ბინასთან გაიმართა პოლიტიკური დემონსტრაციი. დემონსტრატებს საფრანგეთის ჯარების შორის მოხდა შეტაკება რომლის დროს ჯარის კაცებმა სროლა აუტეგეს დემონსტრანტებს. დაჭრილია რამდენიმე კაცი და მოკლულია ერთი.

საფრანგეთის გეგმა.

ნიუიორკი, 16 იანვ. „ჩიკაგო ტრიბუნ“-ის ცნობით საფრანგეთის გეგმა მორატორიუმის შესახებ გულისხმობს გერმანიის ფინანსებისათვის სპეციალურ საკავშირო კომისიის კონტროლს, რომელიც დაარსდება ბერლინში მოკავშირეების ჯარების მფარველობით. ამას გრდა საფრანგეთის გეგმის მიხედვით უნდა იქნეს მიღებული ზომები მარკის სტაბილიზა-

ციისათვის, რისთვისაც გამოყენებული უნდა იქნეს სახელმწიფო ბანკის ოქროს მარაგიდან ნახევარი მილიარდი მარკა და ამავე რაოდენობის სესხი.

ინგლისელების თანამშრომლობა

პარიზი 17 იანვარი. ჰუანკარე დათანხმდა ინგლისის ინჟენერების ავიატორების წინადადებაზე ითანამშრომლონ საფრანგეთის ინჟენერთა საკონტროლო კომისიასთან რურში და წინადადება მისცა ლეტროკერს მიიღოს ფართო დასაწყისზე მათი თანამშრომლობა.

სამხედრო სასამართლოს მუქარით.

ჰანოვერი. იანვ. 17. დიუსელდორფში გენერალ დემუტის წარმომადგენელმა უბრძანა მაღაროების პატრონებს სამხედრო სასამართლოსთვის გადაცემის დამუქრებით დაემორჩილონ ნახშირის რეკვიზიციას. ნახშირით დატვირთული რამოდენიმე მატარებელი უკვე გაემგზავრა მოკავშირეთა ქვეყნებისაკენ. საფრანგეთ-ბელგიის ჯარებმა დაამთავრეს რურის ოლქისათვის ალყის შემორტყმა გერმანიის მიერ ნახშირის მიწოდების შეუსრულებლობის გამო, საფრანგეთმა და ბელგიამ გადასწყვიტეს დაუყონებლივ შეუდგეს მოკავშირეების სასარგებლოდ ნახშირზე გადასახადის აკრეფას.

მარკის დაცემა.

ლიფილდი. იანვ. 17. გერმანიის მარკა სწრაფად ეცემა.

ლოზანას კონფერენცია

საგრძნობი შემსუბუქება

ჰანოვერი. 16 იანვარი. ლოზანადან მიღებულ ცნობებით, საზავო მოლაპარაკების საგრძნობი შემსუბუქება და ინტენსივობა გამოწვეულია მით, რომ ლონდონში დაარსდა ინგლის-ოსმალეთის საზოგადოება ოსმალეთის მრეწველობისათვის თანხების მისაწოდებლად, ნავთიან ადგილების რკინის გზებისა და სხვა კონცესიების გზით.

მცხოვრებთა გადაცვლა.

ლონდონი. 16 იანვარი. ლოზანადან „დეილი მეილი"-ს კორესპონდენტი იტყობინება, რომ სწარმოებს მსჯელობა იცირე აზიის და საბერძნეთის მცხოვრებთა გადაცვლის წესის შესახებ. დადგენილია, რომ შეთანხმების დადებიდან ერთი კვირის შემდეგ უნდა განთავისუფლებული იქნენ მძევლები და სამხედრო ტყვეები და დააბრუნონ ისინი სამშობლოში.

საბჭოთა რუსეთის დელეგაციის წინადადება.

რომი. 16 იანვარი. საბჭოთა რუსეთის დელეგაციამ გადასცა ლოზანას კონფერენციას ახალი ნოტა, რომელშიაც აცხადებს, რომ თუ კონფერენციას სურს სრუტეების საკითხში საერთო შეთანხმების მიღწევა და მხედველობაში აქვს, რომ მტკიცე ზავის ჩამოგდება შეიძლება მხოლოდ ერთხმად მიღებულ დადგენით დელეგაცია მოითხოვს ახლო მომავალში მოიწვიონ სხდომა დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის საბოლოო აზრთა გაცვლა-გამოცვლისათვის.

უცხოეთი

ბრძოლა მოხულისათვის

მოსკოვი. 17 იან. თეირანიდან იტყობინებიან, რომ ინგლისის ხელისუფლებამ ბაღდადში მიიღო აეროპლანების ახალი პარტია, რომელიც უნდა გაიგზავნოს მოსულში. შეტაკებებმა ოსმალეთის ჯარებსა და შეიხ-მახმუდის ქურთების რაზმების შორის პერმანენტული ხასიათი მიიღო. სპარსეთის გაზეთების ცნობით ოსმალეთის ჯარები მიიწევენ მოსულისაკენ.

რუსეთი და ნორვეგია

მოსკოვი. 17 იან. საგარეო საქმეთა სახ. კომისარის მოადგილემ ლიტვინოვმა ნორვეგიის გარეშე საქმეთა სამინისტროს გაუგზავნა ნოტა შპიცბერგენის კუნძულზე უფლებრივი რეჟიმის შემოღების შესახებ. ნოტაში აღნიშნულია, რომ რუსეთი არ სცნობს პარიზის კონფერენციას, რომელიც დადებულ იქმნა მისი მონაწილეობის გარეშე და ერთად ერთ საშუალებად შპიცბერგენზე უფლებრივი რეჟიმის შემოღებისათვის მას მიაჩნია საერთო შეთანხმება ყველა ინ სახელმწიფოებისა, რომელნიც მონაწილეობას იღებენ ზაღნიშნულ ტერიტორიის საწარმოო ძალების განვითარებაში.

რუსეთის მფრინავები რუმინეთში.

მოსკოვი. 17 იანვარი. რუმინეთის გარეშე საქმეთა მინისტრის მოადგილემ მარეზკომ დეპეშით აცნობა საგარეო საქმეთა სახ. კომისარის მოადგილეს ლიტვინოვს, რომ რუმინიაში დაპატიმრებული რუსეთის მფრინავები ოლეევი და სმირნოვი გადაეცა რუსეთის საზღვრის განაპირა ადგილების ხელისუფლებას.

პარტიული ბრძოლა სპარსეთში.

მოსკოვი. 17 იანვარი. თეირანიდან იტყობინებიან, რომ სხვა და სხვა ნაციონალისტურმა ფრაქციებმა შეკრეს ბლოკი, რომელსაც მეჯლისში აქვს 45 ხმა კავამის კაბინეტის მომხრეთა 22 ხმის წინააღმდეგ. 10 იანვარს მეჯლისში ჩრდილოეთ-სპარსეთის ნავთის კონცესიის პროექტის განხილვის დროს მოხდა სკანდალი იმ საბუთების გამოქვეყნების გამო, რომელიც მოწმობდა, რომ პრემიერმა აიღო 150,000 დოლარი საკომისიო ერთ-ერთ ამერიკულ ფირმისაგან.

სხდომის დახურვის დროს მოისმოდა ხმები „სამართალში იქნეს მიცემული ბოროტ-მოქმედი პრემიერი".

ინგლისის ნახშირი.

მოსკოვი 17 იანვარი. ლონდონიდან იტყობინებიან, რომ ინგლისის ნახშირის გაზიდვა თან და თან ფართოვდება, გერმანიის სახელმწიფო რკინის გზებმა შეისყიდეს 50.000 ტონი ნახშირი.

პანიკა ბერლინის ბირჟაზე

მოსკოვი 17 იანვარი. ბერლინის ბირჟაზე გამეფებულია პანიკა. ინგლისის სტერლინგი ღირს 60.000 გერმანული მარკა, დოლარი 12.000 მარკა.

ლოზანას კონფერენციაზე

მოსკოვი 17 იანვარი. ლონდონში მოუთმენლობას გამოხატავენ ლოზანას კონფერენციის გაჭიანურების გამო, რუსეთის დელეგაციამ წერადგინა ნოტა რომელშიაც მოითხოვს სპარსეთის დაშვებას კონფერენციაზე.

მოსულის რაიონი

მოსკოვი. 17 იანვ. სტამბოლის პრესა ადასტურებს ხმებს ინგლისის ჰაეროპლანების მიერ მოსულის რაიონის სხვა და სხვა ადგილებისათვის ყუმბარების დაშენის შესახებ. დანგრეულია მრავალი შენობები.

ოსმალეთის დახმარების საზოგადოება

მოსკოვი, 17 იანვ. ლონდონში დაარსდა „ოსმალეთის ეკონომიური განვითარებისათვის ხელის შემწყობი" ახალი საზოგადოება. საზოგადოების ორგანიზატორია ურხარდტი. ოფიციალურ წრეებში ამტკიცებენ, რომ ანგორის მთავრობა საზოგადოებას მნიშვნელოვან კონცესიებს გადასცემს.

მემელი.

მოსკოვი. იანვ. 17-ს ვოლფის სააგენტოს ცნობით მემელი ლიტოველებმა დაიკავეს.

ჰუნგრეთი და რუმინეთი.

მოსკოვი. იანვ. 17. ჰუნგრეთში დიდი მღელვარებაა რუმინეთის საზღვარზე მომხდარ შედეგების გამო. ჰუნგრეთის მთავრობამ პროტესტი განაცხადა ჰუნგრეთის სუვერენიტეტის დარღვევის გამო.

მეორეს მხრივ, რუმინეთიდან იტყობინებიან, რომ რუმინეთის საზღვარზე ხდება ჰუნგრეთის ჯარების კონცენტრაცია. რუმინიის სამხედრო მინისტრმა გამოსცა ბრძანება 1924 წელში გასაწვევ ახალგაწრდობის ვადამდე გამოწვევის შესახებ.

სამხრეთ-სლავიის მთავრობამ აგრედვე დაადგინა გააძლიეროს თავისი ჯარები ჰუნგრეთის საზღვარზე.

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასკომის პირველი სესია

სესიის მეორე სხდომაზე გაგრძელდა მსჯელობა კონსტიტუციის პროექტის შესახებ მიღებულ იქნა შესწორებები, რომელიც წარმოდგენილი იყო კომისიის მიერ.

დამტკიცებული იქნა აგრეთვე ღერბი და დროშა ამ.-კავკასიის სოც. ფედ საბჭოთა რესპუბლიკისა.

შემდეგ ამის არჩეულ იქნა სახალხო კომისართა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარეთ—ამხ. **მ. ორახელაშვილი**, თავმჯდომარის მოადგილეებათ ამხ. **მიახნიკოვი** და ამხ. **გუსეინოვი**; სამხ. და საზღ. სახალხო კომისარი—ამხ. **ელიავა**; შრომის სახ. კომისარი—ამხ. **იაკუბოვი**; სასურსათო სახალხო კომისარი—ამხ. **ბუნიატ-ზადე**; ფოსტის სახალხო კომისარი—ამხ. **ათარბეკოვი**; მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი—ამხ. **ოყოიკაშვილი**; საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარი—ამხ. **გაჯინსკი**; ფინანსთა სახალხო კომისარი—ამხ. **თუმანოვი**; ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილე—ამხ. **იზმაილოვი**; საგანგებო კომისიის თავმჯდომარე—ამხ. **მოგილევსკი**, ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამართველოს უფროსი—ამხ. **პოზდეევი**.

ამხ. მარიამ ორახელაშვილის წინადადებით მიღებულ იქნა დადგენილება განიხილონ საერთო საკავშირო ხელშეკრულება, რასთვისაც ამორჩეულ იქნა კომისია შემდეგი—შემადგენლობით— ამხ-ბი —ელიავა, გუსეუნოვი, კისინიანი, მიხაილოვი და ლაკობა.

მიმდინარე საკითხებში გარჩეულ იქნა ბამბის საქმისა და მილიორაციის მართველ ორგანოების ორგანიზაციის შესახებ; მოხსენებას აკეთებს ამხ. ბაგდატიევი. კამათის შემდეგ დადგენილ იქნა შეიქმნას ორი მართველობა: ბამბის საქმისა და მილიორაციისთვის ცალ-ცალკე

ამხ. მ. ორახელაშვილის მოხსენეგით მიღებულ იქნა დადგენილება ტფილისში კომუნისტური უნივერსიტეტის დაარსების შესახებ. ამხ. მიხაილოვის სიტყვის შემდეგ ამ საკითხის შესახებ, მიღებულ იქნა მის მიერვე წარმოდგენილი რეზოლიუცია: ამ.-კავკასეის ხალხთა განათლების საქმის აღორძინების მიზნით და სახელმწიფოებრივი აპარატისათვის გამოცდილ და კვალიფიციურ მუშაკთა მომზადების მიზნით, ამ.-კავკასიის ცენტრალური აღმასკომის პირველი სესია ადგენს: დაარსებულ იქნეს ქალაქ ტფილისში ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი ამიერ-კავკასიის პროლეტარიატის და ბაქოს კომუნის 26 ბელადის სახელზე, რომლებიც დაეცენ 1918 წელს, აღრძინდენ 1920 წელს და ამ ჟამათ გაიზარდენ ამ.-კავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკათ.

ამხ. ბაგიროვის და ორჯონიკიძის წინადადებით ერთხმად დადგენილ იქნა დაჯილოებულ იქნეს ამხ. ბოგდატიევი მუღანის ველის მოსარწყავ მუშაობის წარმოებისათვის წითელი დროშის ორდენით.

ბოლოს სესიამ მიიღო დადგენილება პროტესტის გამოსაქვეყნებლად, რურის ოლქის ოკუპაციის გამო.

მოკლე საბოლოო სიტყვის შემდეგ ამხ. მ. ცხაკაიასი პირველი სესია დახურულ იქნა ინტერნაციონალის სიმღერით.

ტფილისის საბჭოს არჩევნები

შაბათს, იანვრის 13-ს, შესდგა ტფილისის სამხედრო ხე-ტყის ქარხნის მუშათა საერთო კრება დეპუტატების ასარჩევად ქალ. მე-3-ე საბჭოში. კრებაზე ყველა მუშები უკლებლივ გამოცხადდენ. გაკეთებულ იქნა მოხსენება ქალაქის მე-2-ე საბჭოს მოქმედების შესახებ. ამის შესახებ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ჩვენი პარტიის სახელით ამხ. გ. თაჯარაშვილმა, რომელმაც გაარკვია მომენტი და ფედერაციის საკითხი. ამის შემდეგ შეეხო ტფ. მეორე საბჭოს მოქმედების ანგარიშებს და დასახა პრესპექტივები მესამე საბჭოს მუშაობის გეგმისათვის.

ამის შემდეგ ქართულად ნათქვამი სიტყვები გადაითარგმნა რუსულად და მოხდა არჩევნები. ნაკაზის წაკითხვის შემდეგ კრება დახურულად გამოცხადდა.

—

რუსთაველის თეატრში შესდგა საბჭოს არჩევნები აღმასკომის მოსამსახურეთა, რომელსაც დაესწრო მთელი შემადგენლობა მოსამსახურეების. არჩევნებს თავმჯდომარეობს ამხ. ბურჯანაძე, რომელიც პირველ სიტყვას აძლევს ამხ. მამულაიშვილს.

შემდეგ ლაპარაკობს რუსულად ამხ. შერმეტევი. ამის შემდეგ გამოდის ამხ. თედო ღლონტი, რომელსაც დამსწრე მოსამსახურენი ტაშის ცემით ეგებება. ის მოკლედ იხილავს აღმასკომის აღმშენებლობის შედეგებს და უმარტავს მის მნიშვნელობას ამრჩეველთ. აღნიშნავს იმ ერთ სულოვანობას აღმასკომის პრეზიდიუმისას, რომელიც მხოლოდ მასზე ფიქრობს, რომ რა აღაშენოს და რა გააკეთოს ქალაქის სასარგებლოდო. ის აცხადებს, რომ პრეზიდიუმში არ არის პარტიული კინკლაობა და სხვა რის გამო მე სრულის სითამამით შემიძლია განვაცხადო, რომ ჩვენი პარტია სრული პასუხის მგებელია პრეზიდიუმის და ქალაქის აღმშენებლობის მუშაობაში წარმოებულ პოლიტიკისა.

ამხ. ღლონტის სიტყვის შემდეგ ხდება არჩევნები. თავმჯდომარე აქვეყნებს სიას ხუთი პირისაგან, სადაც არის ამხ. თედო ღლონტიც.

წარმოდგენილ სიას დიდის აღტაცებით ეგებება ამრჩევლები და დასახელებულ პირებს ოვაციებს უმართავენ და ყველა დასახელებულ პირებს ერთხმად ირჩევენ.

ამხ. დუმბაძის და თედოს დასახელება მთელ დარბაზში იწვევს დაუსრულებელ ტაშისცემას და სიხარულს. ამის შემდეგ არჩევნები დასრულებულად ცხადდება.

—

სამშაბათს, იანვრის 16-ს, სალამოს 7 საათზე, მიხა ცხაკაიას სახელობის კლუბში მოხდა საერთო კრება სახ. კავშირის მუშა-მოსამსახურეებისა. დღის წესრიგში იდგა დეპუტატების არჩევის საკითხი. გაკეთებულ იქმნა მოხსენება მეორე საბჭოს მოღვაწეობაზე და მესამე საბჭოს მორიგ ამოცანებზე. მიღებულ იქმნა ერთხმად რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ კრება დამაკმაყოფილებლად სცნობს საბჭოს მუშაობას. დასასრულ არჩეულ იქმნა დეპუტატები. ჩვენი პარტიის მხრით გავიდა ამხ. ლონგინოზ დუმბაძე. კრება დაიშალა ინტერნაციონალის სიმღერით.

—

შაბათს, იანვრის 20-ს, პატარა თეატრის დარბაზში დღის 12 საათზე დანიშნულია არჩევნები ტფილისის მუშათა დეპუტატების საბჭოში განათლების მუშაკთა კავშირისა.

პროვინციის ცხოვრება

საშკოლო საქმე. უკანასკნელი ცნობების მიხედვით, შემოდგომის განმავლობაში გორის მაზრის მცხოვრებთა მიერ თავის სრულს ხარჯებზედ აყვანილია 12 შრომის შკოლა. გარდა ამისა, მცხოვრებთა მიერ თავის ხარჯებზედ სრულიად შეკეთებულია შკოლების შენობები: ახალქალაქის თემში—4, გომის—3, კავთისხევისა და მეჯვრისხევის—3, თევიაგის—1; ქარელის—1; ქვედაჭალის—1; ხელთუბნის—1; შანდოს—1, საშერის—5 და სურამის—12, სულ 36 შენობა.

ინსტრუქტორების კურსები. ამ დღეებში ახალციხის მაზრის სახალხო განათლების განყოფილებაში მოეწყობა კურსები მასწავლებელთათვის; ამ მიზნით მაზრიდან გამოწვეულია ყველა შრომის შკოლების მასწავლებლები.

დამზღვევი კასა. გორის დამზღვევი კასის შემოსავალი გასული დეკემბრისთვის განმავლობაში გამოიხატა 96.222.500 მანეთში; გასავალი—95.910.116 მან. უკანასკნელი ციფრიდან ექვს პენსიონერს მიეცა დახმარების სახით 11.425.026 მან. გარდაცვალების გამო—1.840.000 მან. სამკურნალოდ—7.470.000 მან.

ბათომის ქალაქის საბჭოს არჩევნები. ამ ჟამად ბათომში სწარმოებს ქალაქის საბჭოს არჩევნები. საარჩევნო კრებებს ხალხი ბლომად ესწრება. მბეჭდავებმა აირჩიეს ქალაქის საბჭოს საპატიო წევრად ამხ. ტროცკი.

— აჭარისტანის საბჭოთა ყრილობის მოწვევა დანიშნული არის 34 იანვრისათვის.

აჭარისტანის ცხოვრება. ქობულეთის მაზრის აღმასკომის დადგენილებით, ყველა საავარაკო ქონება გადაეცემა ქობულეთის კომუნხოზს.

— ამ ჟამად მუშავდება საფუთო გადასახადი, რომელიც გადახდება საქონლის მანეთის ანგარიშის მიხედვით.

— მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა წლიური გასინჯვა პირველ იანვრისათვის დარჩენილ ინვენტარისა, პროდუქტებისა და ფულის თანხის ბათომის ყველა დაწესებულებასა და უწყებებში. მსხვილი დეფექტები არ არის აღმოჩენილი.

— კომუნხოზმა მოსკოვში გაგზავნა სამი თავისი წარმომადგენელი მოსკოვის ბაზარზე საფეიქრო საქონლებისა და ელექტროსადგურებისა და წყალსადენებისათვის მასალების საყიდლად.

— მიწადმოქმედების კომისარიატმა შეიძინა 26 გუთანი, რომელიც დანიშნულია გლეხებისათვის.

— ბათომში ჩამოიტანეს რუსული ფქვილი 34,932 ფ. ეს ფქვილი მოვიდა სახელმწიფო სამეურნეო ორგანოების მისამართით და განზრახული არის იაფი პურის გამოცხობა.

— მიწადმოქმედების კომისარიატი ამზადებს იანვრის დამლევისათვის სასოფლო-მეურნეობის გამოფენას. აგროვებენ ძვირფას ექსპონატებს, რომელნიც აჭარისტანის გამოფენის დამთავრების შემდეგ გაიგზავნება სრულიად რუსეთის სასოფლო-მეურნეობის გამოფენაზე მოსკოვში, აგრეთვე ტფილისშიაც.

— პროფესიონალურმა საბჭომ დაადგინა მიაწოდოს პროფკავშირების უმუშევარ წევრებს პური პროფკავშირების საერთო საფუძვლებზედ. უმუშევარნი კავშირების არაწევრები მიიღებენ პურს მხოლოდ თავიანთვის.

ახალი ამბები

— **კულტ. მცენარეთა დაზღვევა ხეტყვისაგან.** საქართველოს დამზღვევ კასის წარმომადგენელმა სახ. კომისართა საბჭოს წარუდგინა კულტურულ მცენარეთა სეტყვისაგან დაზღვევის პროექტი. ეს დაზღვევა შეეხება რესპუბლიკაში არსებულ მცენარეებს, როგორც ბოლის ბაღებს, ისე ვენახებს და ბოსტნებს.

— **ელექტროეის სადგური ახალციხეში.** უმაღლეს მეურნეობის საბჭოს პრეზიდიუმას დადგენილებით, ინახმად სახალხო კომისართა საბჭომ დადგინა: აუცილებელ აშენებულ იქნას ქალ. ახალციხეში ჰიდრო-ელექტრონული სადგური ასი ცხენის ძალით. ამის საჭიროებისათვის გაღენულ იქნება ხაზინიდან 6 ათასი მან. ოქროთი.

— **სესხი სახ. განათ. კომისარიატს.** სახალხო განათლ. კომისარიატს გაეხსნას კრედიტი: 3,500 მილ. მან. იმ ვალის გასანაღდებლად, რომელიც მას დაედო 1 იანვრამდის 1923 წ.

— **ცირკის შენობის ნაციონალიზაცია.** სახ. განათ. კომისარიატის მიმართვის თანახმად სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა: მოახდინოს ვერაზე მყოფი ცირკის (შენობა № 14) ნაციონალიზაცია.

— **ქუთაისის აღმშ. კავშ. განყოფ.** ქუთაისის აღმშენებლობითი კავშირის განყოფილების კულტურული მუშაობა ვერ არის კარგ ნიადაგზე დაყენებული. აქ კულტურულ განყოფილების მაგივრად არსებობს კომისია, რომელსაც დავალებული აქვს კულტურულ საქმეების გაძღოლა. პროფბიურომ დაარსა სკოლა წერაკითხვის უცოდინართა მუშებისთვის პროფბიუროსთან არსებობს მუშათა კლუბი და სამკითხველო.

— **ბათომის აღაშ. კავშ. განყოფ.** ბათომის აღმშენებლობითი განყოფილებას კარგად აქვს მოწყობილი კულტურული საქმე გახსნილია სკოლები წერაკითხვის უცოდინართა მუშებისთვის. სკოლებში სწავლობენ, როგორც ქართველი მუშები ისე მუსულმანები, სომხები და რუსები.

— **„საქართვ. სახალხო მეურნეობა".** გამოვიდა გაზ. „საქართველოს სახალხო მეურნეობა" ნომერი მეორე. გაზეთი ათ გვერდს შეიცავს და მოთავსებულია შემდეგი საყურადღებო წერილები: მრეწველობა თუ ტრანსპორტი?—ინჟ. წულუკიძის, საქართ. სამთო მრეწველობის ნარკვევი—ინჟ. ტროიცკის, ამიერ-კავკ. ფედერაციის საგარეო ვაჭრობა—ლევინის, მებმაბეობა ამ.-კავკასიაში ამხ. ფირალოვის, საქართ. გლეხობის ხარკგადამხდელობის უნარიანობა,—გონჩაროვის, მეღვინეობა საქ. სოც. საბჭ. რესპუბლ.—ეგოროვის და სხ.

— **კომპენსაციის მიცემა.** ქალაქის აღმასკომის მიერ გაიგზავნა ცირკულიარული მოწერილობა ყველა განყოფილებების გამგეებს, რომ ყველა თანამშრომლები გაუშვას რიგრიგათ შვებულებაში. შვებულებაში გაუშვებელთ მიეცემა კომპენსაცია. კომპენსაცია აგრეთვე ეძლევა მხოლოდ იმ თანამშრომლებს, რომელნიც სამსახურიდან გასულნი არიან და შვებულებით არ უსარგებლიათ თავის დროზე. ხოლო დანარჩენი მოსამსახურენი რიგრიგათ იქნებიან გაშვებულნი, ვინაიდან კომპენსაციის გაცემით ირღვევა, შრომის კანონი, ყოველწლიურად თითო თვის შესახებ.

— **ბანდიტების მოკვლა.** სიღნაღიდან სახალხო კომისართა საბჭოს დეპეშით ატყობინებენ, რომ ღამით 15 იანვარს მოუკლავთ ცნობილი პოლიტიკური ბანდიტი კრაწაშვილი ორი მისი ამხანაგით. სამი დატუსაღებულია. კრაწაშვილის ბანდა სავსებით განადგურებულია.

— **სუმბათაშვილ-იუჟინის იუბილეს აღნიშნვნა.** სუმბათაშვილი-იუჟინის სასცენო მოღვაწეობის პატივსაცემად და მისი იუბილეს აღსანიშნავად აყვანილი იქნა აღმასკომის მიერ ორი სტიპენდიანტი, ერთი სახელმწიფო კონსერვატორიაში და ერთი აკაკი ფაღავას ხელმძღვანელობით.

— **უქმე დღეები.** ა. კ. შრ. სახკომ. საქ. რწმუნებულის სამმართველო ამით აცხადებს, რომ 19 იანვარი (ნათლისღება) და 22 იანვარი (1905 წლ. 9 იანვ.) არის უქმე დღეები და აღნიშნულ დღეებში, როგორც სახელმწიფო ისე კერძო წარმოება-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები განთავისუფლებულ უნდა იქმნენ სამუშაოდან.

— **აღმშენებლობითი პროფკავშირში** აღმშენებლობითი პროფკავშირის კულტურული განყოფილება დიდ ყურადღებას აქცევს წერა კითხვის უცოდინარ მუშებს და თითქმის ყველა რაიონულ კომიტეტებს დავალებული აქვს წარმოადგინონ სიები იმ მუშების, რომელთაც არ იციან წერა კითხვა. კავშირს ქსანის ქარხანასთან აქვს გახსნილი ერთი სკოლა მეორე საფეხურის, სადაც სწავლობს 40 კაცი. პროფესიონალური ტექნიკური კურსების, რომლის მოწყობა გადაწყვეტილი იყო წლის თავიდანვე, ჯერჯერობით ნივთიერ უსახსრობის გამო ვერ განხორციელდა. ამ ჟამად კავშირი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ეს კურსები გახსნას. ამის გარდა კულტურული განყოფილება თავის კავშირის წევრებს—მუშებს სისტემატიურად აწვდის ჟურნალ-გაზეთებს და წიგნებს. კავშირს განზრახვა აქვს მუშათათვის მოაწყოს, რომელიმე აგარაკზე მუშათა დასასვენებელი სახლები.

ეკონომიური ცხოვრება

— **ეკონომიური მართველობის ორგანიზაცია.** ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა რეორგანიზაცია უყოს ცენტრალურ საწარმოო ტეხნიკურ განყოფილებას ახალი ორგანოს შექმნის მიზნით, ეკონომიურ-უფლებრივ და საწარმოო-ტეხნიკურ საკითხების გადასამუშავებლად. ამ ორგანოს ეწოდება ეკონომიური მართველობა, რომლის შემადგენლობაშიაც შევლენ ქვე-განყოფილებები: სტატისტიკური, საწარმოო-ტეხნიკური, უფლებრივი და სარედ.-საგამომცემლო.

— **ს. მ. უ. ს. ტრესტებისა და განყოფილებების დებულება.** ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა დაავალა სპეციალურ კომისიას სასწრაფოდ გამოიმუშავონ ახალი დებულებანი განყოფილებებისა და ტრესტების შესახებ.

— **პრეზიდიუმის შეცვლა.** ს. მ. უ. ს. მიერ დამტკიცებულ იქნა ახალი პრეზიდიუმი შემადგენლობით: თავმჯდომარედ ამხ. ავაქოვი, წევრებად: კალანდაძე, პოგოსოვი, არეშიძე და ბორკონი.

— **სავაჭრო კავშირი.** საქართ. სახ. მეურნეობის საბჭოს ცენტრალურ სავაჭრო მართველობას და რუსეთის ს. მ. უ. ს. სავაჭრო გინყ. შორის დადებულია ხელშეკრულება, რომლითაც ყველა სავაჭრო ოპერაციებს საქართველოს საზღვრებში რუსეთის სავაჭრო განყოფილება მხოლოდ ცენტრსლურ სავაჭრო მართველობით აწარმოებს; თავის მხრით ეს უკანასკნელი ყველა სავაჭრო ოპერაციებს ამ.-კავკასიის საზღვრებს გარეთ რუსეთის ცენტრ. სავაჭრო განყოფილებით აწარმოებს.

— **რუსეთის სამრეწველო ბანკი.** რ. ს. ფ. რ. სამრეწველო ბანკმა წინადადებით მიმართა საქ. სახალხლ მეურ. უმაღ. საბჭოს აღადგინონ საურთიერთო საკორესპოდენტო დამოკიდებულება და ხელი მოაწეროს ბანკის აქციებს. ამის გამო ს. მ. უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა თავის განყოფილებებსა და ტრესტებს ხელი მოაწერონ სამრეწველო ბანკის აქციებს პრეზიდიუმის საშუალებით.

— **დადგენილება.** საქართ. სახ. მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ გამოსცა დადგენილება რესპუბლიკის სამრეწველო ცხოვრების მოსაწესრიგებლად, სანამ საამისოდ შესაფერი კანონმდებლობა შემუშავდებოდეს. დადგენილება ეხება საბუთების რეგისტრაციისა და აღრიცხვის, სავაჭრო ნიშნებს, საქონლების ტალსიფიკაციის და არსებული წესების დაცვას წარმოებაში.

— **სამთო კომიტეტის** მიერ გამომუშავებულ იქნა ახალი დებულება დასაზვერ მუშაობის წარმოების ნებართვის მოწმობების შესახებ.

— **ცეკავშირი და სახ. მეურნეობის საბჭო.** ცეკავშირისა და სახ. მეურნეობის შეთანხმების თანახმად, ს. მ. უ. ს. ფაბრიკანტების რეალიზაცია, როგორც ადგილობრივ, ისე უცხოეთის ბაზარზე და აგრეთვე ნედლ მასალების და სასოფლო-მეურნეობის პროდუქტების დამზადება ცეკავშირის საშვალებით იწარმოებს.

ზეღოვნება

„ახალი აღმოჩენა ტურფანში“. ამას წინად ერთმა გერმანელმა მეცნიერმა ტურფანში (ტურქესტანში) აღმოაჩინა მთელი რიგი ჯერ უცნობი სანსკრიტული დრამების ხელთ ნაწერები, აგრეთვე ერთი პერგამენტი ჯერედ უცნობი ენით დაწერილი.

ჟურნალ „ილიონის“ რედაქციის ინიციატივით ამ ახალი აღმოჩენების შესახებ მოხსენებას წაიკითხავს საქართველოში ახლად ჩამოსული გერმანიის ელჩი დოქტორ ვეზგნდონსკი (იგივე რედაქტორი დოიჩე ალგეაინე ციტუნგისა და ჟურნალ „ახალი აღმოსავლეთის“ დოცენტი ბერლინის უნივერსიტეტისა). მოხსენება იქნება გერმანულად, გერმანულის არ მცოდნეთათვის მოხსენება გადაითარგმნება ქართულად. შესვლა უფასოა.

მოხსენება შესდგება შაბათს, იანვრის 20-ს საღამოს შვიდ საათზე, ხელოვანთა სახლში. კრებას უხელმძღვანელებს კ. გამსახურდია.

— **„ილიონი“.** რედაქციამ მიიღო ჟურნალი „ილიონის“ № 3. მონაწილეობენ: კ. გამსახურდია, ი. ტატიშვილი ტ. გრანელი, მარიჯან, მოსიაშილი, ვ. გორგაძე, ი. ტოფაძე, გარდელი, კ. აბაშიძე, უიარაღო, ალ. წერეთელი, დ. უზნაძე. ჟურნალი ღირს 50 ათასი მ. იყიდება ყველგან მეგაზეთეებთან ტფილისში და პროვინციაში.

— **გურამიშვილის საღამო.** მოკლე ხანში ტფილისში გაიმართება დ. გურამიშვილის საღამო. სიტყვებს წარმოსთქვამენ: ი. ტატიშვილი, ა. ჭუმბაძე. კ. გამსახურდია.

— **კ. გამსახურდიამ** დასწერა პოემა მისტერია: „გარსი მარადი“.

— **„ზარი“.** ტფილისში გამოვა სალიტერატურო, ყოველკვირეული გაზეთი „ზარი“.

— **კ. გამსახურდია** თარგმნის გეორგ გაიზერის პიესას: „Nölle iveg Ende ჯოჯოხეთი, გზა, მიწა“. პიესა წარედგინება რუსთავლის თეატრის რეჟისორთა კოლეგიას. მასავე განზრახული აქვს გადმოთარგმნოს მთელი რიგი ახალი გერმანული პიესებისა და სხვათა შორის შმიტის „შავი მზე“.

— **„ლომისი“.** გამოვიდა გაზ. „ლომისის“ მორიგი ნომერი (№ 20) შემდეგი შინაარსით: მშობლურ ნადაგზე—დონარის, ფურცლები მოგონებათა რვეულიდან—მონაწილეს; საკუთარი გზით—პანის; საქართველოს სამხატვრო აკადემია—იტესი, საუბარი ალ. სუმბათაშვილთან, ქართველ მხატვრებს—მოთხრობა მალაქიაშვილისა, ლექსები: ვ. რუხაძისა და მოსაშვილის, ქრონიკა.

— **ფუტურისტები.** კვირას 21 იანვარს საღამოს 8 საათზე ხელოვანთა სასახლეში გამართულ იქნება პირველად საქართველოში ფუტურისტული საღამო წაკითხულ იქნება მოხსენებები და მანიფესტები. წარმოსთქვამენ სიტყვებს.

ბიბლიოგრაფია

ასოთა შრიფტების ალბომი.

ტეხნიკოს ნ. ბეჟუაშვილისა.

ალბომი გამოცემულია სუფთათ ტლამაზ ქაღალდზე. გამოცემა. ეკუთვნის სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციას. ნ. ბეჟუაშვილს დიდი დაკვირვება და ნიჭი, ამასთანავე მეცადინეობა ეტყობა. არ შეიძლება ალბომს არა ჰქონდეს ნაკლი, მაგრამ ეს ნაკლი იმდენად მცირედია, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ თვითონ ტეხნიკოსი ნ. ბეჟუაშვილი, როგორც ნიჭიერი ახალგაზრდა გაასწორებს და ძალიან შორს წარსდგამს ნაბიჯს. ალბომი საჭირო არის ჩვენი ტეხნიკური სკოლებისათვის და შეიცავს დიდ ინტერესს. ალბომში მრავალნაირი ხასიათია შრიფტისა და ყველა ერთნაირად კარგად არის შესრულებული. შეიძლება ვინმე გამოვიდეს ისეთი, რომელიც იტყვის: არაფერია ეს ალბომი მაინცა და მაინც თუნდ მხოლოდ იმისთვის, რომ ვიღაც მუშა—ტეხნიკ ბეჟუაშვილის შედგენილიაო. მაგრამ უნდა ითქვას რომ ნაკლიც და ღირსებაც აქვს იმას, ვინც აკეთებს რამეს, ხოლო ვინც არაფერს აკეთებს, მას არც ნაკლი აქვს და არც ღირსება.

ხსენებული ალბომისთვის დიდი მადლობის ღირსია ამხ. ნ. ბეჟუაშვილი.

ტეხნიკი.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენს გაზეთში განვაცხადო შემდეგი!

იანვრის 6-ს ტფილისიდან ქუთაისს გავემგზავრე. ტფილისის სადგურის სალაროში წარვადგინე მოწმობა № 692 სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მოცემული და მივიღე სამგზავრო ბილეთი 50 პროც. შეღავათის დაკლებით. (რის შესახებაც წინდაწინვე მქონდა გაგებული, რომ სტუდენტობას 50 პროც. შეღავათს აძლევდენ).

ქუთაისიდან როდესაც მოვდიოდი 14 იანვარს ესევე მოწმობა № 692 წარვადგინე ქუთაისის სადგურის სალაროში, მაგრამ მოლარე მოქ. აბდუშელიშვილმა მითხრა: თქვენ უნდა გადიხადოთ 75 პროც. და შეღავათი 25 პროც. მოგეცემათო. შეკითხვაზე, სტუდენტს 50 პროც. შეღავათი არ უნდა მიეცესო, მან მიპასუხა; მართალია უნდა მიეცეს, მაგრამ აქ მხოლოდ 25 პროც. სწერიაო.

ახლა მაკვირვებს ერთი რამ, მოწმობა ოფიციალური № 692, ტფილისის სადგური ამ მოწმობით იძლევა 50 პროც. შეღავათს და ქუთაისის კი—25 პროც., რაშია საქმე?

ახლა იწყება სტუდენტთა გამომგზავრება და თუ განმარტებული არ ექნათ კარგად მოლარეებს, რომ სტუდენტებს მგზავრობის დროს (არდადეგებზე) ეძლევათ 50 პროც. შეღავათი, ისინი მხოლოდ 25 პროც. შეღავათს მისცემენ. საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ყურადღება.

სტუდ. **ხ. წერეთელი.**

ქართველ მაჰმადიანთა წარსული ცხოვრებიდან

გულო აღა ჰასანის ძე კაიკაციშვილი. *)

(1840—1923 წ.)

გულო აღა კაიკაციშვილი დაიბადა 1840 წ. 6 ივლის, შაფათს დღეს, სოფ. სამებას, ამათი ძველი გვარი იყო ქათამაძე. მერე კი კაიკაციშვილი უწოდებიათ.

გულო აღას მამა იყო ჰასანი, დედა გუგუნავას ასული ელმასი, ამ ქალმა ქართული წერა-კითხვაც იცოდა. პატარა გულო აღას დედამ შეასწავლა ქართული წერა-კითხვა. მერე გულო აღა სწავლობდა სოფ. სამების ჯამეს ხოჯასთან, აქ გულო აღამ შეისწავლა არაბული ანბანი და ოსმალური ენა, გულო აღას ამ დროსაც უმთავრესად ქართული წერა-კითხვა უყვარდა.

ხოჯასთან ოსმალური ენაც მალე დაისწავლა, თუმცა მის დროს, ამათ სოფელს სამებაში არ იყო გავრცელებული არც არაბული წერა-კითხვა და არც არაბული ანბანი. მცირე ხანს შემდეგ, ასე გულო აღა იქნებოდა 15 წლისა ეს მიბარებულ იქმნა აღებ მიცემის მიმდევარ ვაჭრებთან.

აღებ-მიცემის გზაზედ, გულო აღამ კარგი ნიჭი გამოიჩინა და აქ იგი ქართულს წერა-კითხვაში უფრო უკეთ დახელოვნდა, ვინაიდან მაშინდელ ქართველ მაჰმადიანთ ვაჭრები თავიანთ სავაჭრო დავთრებს ქართულათ აწარმოებდნენ, მაინც მაშინ ქართველ მაჰმადიანებს დედა-ენათ და წიგნათ ქართული ენა და წიგნი ქონდათ მიღებული.

ვაჭრობაში წიგნის ცოდნის სახელით ისე დაწინაურდა და ისე დახელოვნდა, რომ მას უაღრესათ ჩაენერგა გულში ქართული წერა-კითხვის და სამშობლოს სიყვარული. თუმც ქართველ მაჰმადიანებს მათი ხოჯები და მოლები სასტიკათ შხამავდენ და ქართულ ენას აძულებდენ. ხოჯები ბავშვებს ეუბნებოდენ, რომ თქვენ თათრები ხართ, თქვენი ენა თათრულია და არა ქართული ენა, ქართული ენა გიაურების ენა არისო.

თვით ხოჯები და მოლებიც ისე იყვნენ დაშხამულები და დაბნელებულნი, რომ მათაც არ ქონდათ მისი შეგნება და გაგება, რომ მათი სამშობლო იყო საქართველო და მათი დედა ენაც ქართველი და არა ოსმალური ენა. გული აღას გულს კი ასეთი რამ არაოს არ მიჰკარებია.

ვაჭრობაში გულო აღა სამწიგნობროობაში ისე დაწინაურდა, რომ ამ გარემოებას დიდი ყურაღღება მიაქცია ჯამელეთის ოსმალოს მთავრობამ და გულო აღა თავის საჭირო კაცათ მიიღეს და ამიტომ გულო აღას მთავრობამ სთხოვა სახელმწიფო სამსახურში შესვლა და მთავრობის სამსახურის მიღება. გულო აღამ მოისმინა მთავრობის დავალება.

მთავრობამ ამას მიანდო ქობულეთის თემებში, ყველა მცხოვრემლებზედ ზედა მხედველობა და მასთანვე თვალყურის დაჭერა იქაურ ხალხის აქეთ-იქით რეზავრობაზედ, რეზავრებისათვის გულო აღას უნდა მიეცა მოწმობა ანუ უფლება მგზავრობისათვის, პასპორტის მსგავს ცნობებს ეს აძლევდა.

1865 წელს იყო, რომ გულო აღა დასახლდა, მეულლე იყო ამისი თხილაშვილის ასული დოდო. ამ ქალისაგან მათ მიეცათ ოთხი ვაჟი შვილი და ოთხიც ქალი, ამათი პირველი შვილი იყო ასლანი საუკეთესო ყმაწვილო კაცი, რომელიც ქართველი ერის საველურროთ, ეს ასლანი ოდესის უნივერსიტეტში სწავლის დროს გარდაიცვალა 1898 წ. შემდეგ დოდოს, ეს კაცი თავის პატიოსანის მოქმედებით ისე დაწინაურდა, რომ იგი სამხედრო სამსახურში იქმნა მოწვეული. იგი ერთ დროს იყო სამხედრო ოფიცერი და მის მერე იგი გახლდათ ალი ფაშას ადიუტანტათ.

გულო აღა სამხედრო სამსახურში იყო მაგრამ თვალი ყოველთვის საქართველოს ერისაკენ ეჭირა, ქობულეთში, ყველგან, ქართველ მაჰმადიანთ ოჯახებში, ყოველთვის სულ საქართველოს შესახებ ჰქვანდა ლაპარაკი და ქართველ მაჰმადიანი და ქართველ ქრისტიანების შერთებასა და სიყვარულზედ. ამისი სიტყვა და მცნება იყო, რომ ჩვენ ერთმანეთის სიყვარული და ერთობა გვქონდეს, ეს არც ისლამს დაუშავებს რამეს და არც ქრისტიანობასაო.

1877 წ. რუს-ოსმალოს ომის დაწყების საქმეს, გულო აღა სულის ფანცქალით შეჰყურებდა და ღმერთს ავედრებდა, რომ ეხლა მაინც მოხდეს ჩვენი შეერთებაო. პატიოსანს ადამიანს ღმერთმა ნატვრა შეუსრულა და 1878 წ. მათი სამშობლოს ერთი ნაწილი შეერთებული იქმნა ჩვენთან. ეს იყო გულო აღასათვის საქართველოს მკვდრეთით აღდგენა.

1878 წ. ჩვენის ჯარის შესვლის დროს ქობულეთში, გულო აღა პურმარილით დახვდა წინ და მშვენიერი სიტყვა უთხრა, დალოცა საქართველოს მხედრობა, აკურთხა მათი ნაბიჯი და მიულოცა საქართველოს გაერთიანება.

ამის შემდეგ გულო აღა იქმნა ჩვენ მთავრობის სამსახურში შესული. ამას მიანდეს პირველად ურიადნიკობა. იმ დროს, გულო აღას ჰქვანდა ოსმალოს მთავრობის წიგნებიც კარგი სამსახურის გამო. მერე ეს ემსახურებოდა აჭარა-ქობულეთის ცხენოსანთა რაზმში, აქ ამის სამსახურში დარჩა 21 წელიწადი იმსახურა სახელოვნად და კარგად.

გულო აღას, თავის გონივრული დამსახურების გამო რუსის მთავრობისაგანაც ქონდა კარგი ნიშნები, ოქროსი და ვერცხლის ყელის ნიშნები და ასევე სხვა ნიშნებიც.

გულო აღას მოქმედებისა და სამსახურში, ყველაზე უფრო თვალსაჩინო გახდა შემდეგი საქმეები და სამსახური, რასაც იგი ყოველთვის თავდადებით ემსახურებოდა. ამასაც მოვსთვლით.

პირველი იყო, რომ იგი მწუხარე გულით და თვალით უმზერდა იმ გარემოებას, რომ ქართველი მაჰმადიანები თავიანთ სამშობლოდან იყრებოდენ და მუჰაჯარად მიდიოდენ ოსმალეთში. ამათ წინააღმდეგ გულო აღა დადგა [illegible] დებდა და აფრთხილებდა მათ, რომ იგინი არ გადასახლებულიყვნენ.

მეორე გახდათ ის, რომ ქართველ მაჰმადიანებს თავიანთ სამშობლოთ საქართველო ეცნათ, დედა ენათ ქართული ენა და თავიანთ ძმებათ ქრისტიან ქართველები, რაც ისლამს არაფერს დაუშავებდა.

მესამე, რომ ქართველ მაჰმადიანებს თავიანთის შვილებისათვის უსაუთუოდ სწავლა-განათლება მიეცათ, რომ იგინი მრავლად გამოსულიყვნენ სწავლა-განათლების ასპარეზზე. ამ ოთხ მცნებას გულო აღა ყოველთვის გულმოდგინებით ემსახურებოდა.

მოხუცებაში შესვლის დროს, ამან სამსახურს თავი დაანება, უმთავრესად კი ამის მიზეზი ის იყო, რომ რუსეთის მთავრობა ქართველ მაჰმადიანებში ქართულ ენის საქმეს სჩაგრავდა, გარდა ამისა მათ არც ქართველებათ სცნობდა და თათრებს უწოდებდა.

დღეს გულო აღა სცხოვრობს ქართველებში და ჩვენი ცხოვრების აღორძინებას სულგანაბული უცქერის.

ზ. ჭ.

*) „პრ. ბრძოლამ“ გვაუწყა, რომ გულო კაიკაციშვილი გარდაიცვალა.

რედ.

ქართველ მაჰმადიანთა სულიერი ვითარება

ნაწილი მე-3

(გაგრძელება*)

საკითხი მე-89. ვინმე პირმა, თავის რაიმე ქონება, რომელიმე მხარის სასარგებლოდ, რომ დავეკფოს და ამავე დროს ხსენებული დავეკფული ქონება თავის სიცოცხლეში სურვილისამებრ თავის სარგებლობაში რომ დაიტოვოს და ხოლო სიკვდილის შემდეგ ხსენებული ქონების, ეყარის გასხვისებით. განსაკუთრებით, მიღებული ჯეროვანი ღირებულება, სხვა რაიმე საკეთილო და საქველო მხარეთა სასარგებლოდ რომ დავეკფოს, ვეკფი არ იქმნება სწორი. იხილეთ მე-77 საკითხის მესამე ნაწილი.

მაგრამ რა კი ასეთი დარგის ვეკფში ნაგულისხმებია, ხსენებული ვეკფის გასხვისებით, გასაკუთრებით მიღებული ჯეროვანი ღირებულება ღარიბთა სასარგებლოდ მოხმარდესო, მაშინ კი მცნება ანდერძისა იწარმოება.

საკითხი მე-90. ვინმე პირმა, თვის მიერ სხვაზე ნაანდერძი ქონება, რომ დავეკფოს, უკვე ანდერძი მის მიერ არის უარყოფილი და ვეკფი კი-არის დადასტურებული, ისე იგი, არის სწორი. მაგალითად; ვინმე პირმა, თავის საკუთარი ბინა, სხვა ვისმეს რომ უანდერძოს და შემდეგ იგი ბინა, არიცხვაში გატარებით, რაიმეს სასარგებლოდ რომ დავეკფოს, ვეკფი იქნება სწორი და ანდერძი კი-ბათილი.

ასეთი სახით დავეკფულ ქონებაზე, დამვეკფელის გარდაცვალების შემდეგ არა აქვს უფლება ნაანდერძევ პურს: ქონების დავეკფვაზე წინეთ დამვეკფემა, ეს ქონება მე მიანდერძა, და რა კი ქონების მესამედიც არის დამაკმაყოფილებელი ანდერძისა, თანახმად ანდერძის მცნებისა, ქონება ჩემი არისო, რომ სთქვას.

საკითხი მე-91. მხოლოდ წერა-აღნუსხით ვეკფი არ იქმნება სწორი. მისი გამოქვეყნება და დამოწმება არის აუცილებელი. მაგალითად: ვინმე პირმა ვეკფის შესახებ რაიმე სავეკფო პროექტი რომ შეადგინოს და შემდეგ იგი სავეკფო, მოწმეთა წინაშე, რომ არ წაიკითხოს და და რომ არ გამოიქვეყნოს, ვეკფი არ იქნება სწორი.

საკითხი მე-92. დამვეკფელმა ვეკფის შემოსავალი თვისთვის, ანუ შვილის სასარგებლოდ პირობით რომ გადადოს, ვეკფის სისწორე მაინც არ იქმნება დარღვეული.

მაგალითად: ვინმე პირმა. თვისი ახალი ბინა რომ დავეკფოს და სახლის სარგებლობა, ანუ საცხოვრებელი უფლება ჯერ თავისთვის და გარდაცვალების შემდეგ შვილისა და შვილის შვილის სასარგებლოდ პირობით რომ გადასდოს, ვეკფი იქმნება სწორი და პირობა კი ცხოვრებაში გატარებული.

აგრეთვე ვინმე პირმა, თავის ქონების ვეკფის შედგენის დროს, „შემდეგში გამოჩენილი მოვალეც, ამ ვეკფის შემოსავალით იქმნეს გასტუმრებულიო“ ასეთი პირობით სავეკფეში რომ აღნიშნოს, ვეკფიც სწორია და პირობაც—მიღებული.

საკითხი მე-93. გადაცვლის პირობით შედგენილი ვეკფი იქმნება სწორი.

მაგალითად: ვინმე პირმა, თავის ქარვასლა (ქერვანსარაი), რომ დავეკფოს, და მხოლოდ სავეკფოში; „შემდეგ მომავალში საჭიროების მიხედვით, ჩემ მიერ დავეკფული ქარვასლა სხვა რომელიმე შემოსავლიან ქონებაში იქმნეს გადაცვლილიო“ ასეთი პირობით რომ აღნიშნოს ვეკფი სწორია და პირობაც-მიღებული. მაგრამ მის მიერ დავეკფული ქონება მომავალში გაიყიდოს, გაისხვისოს, გაისაკუთროს და ღირებულება მისი ღარიბთა სასარგებლოთ გადიადოსო პირობით რომ მიუჩინოს, ასეთი პირობით დავეკფული ვეკფი არ იქმნება სწორი.

საკითხი მე-94. მიწაზე დაქვემდებარებით წყლის სმის უფლების და გაყვანილ მილებზე დაქვემდებარებით წყლის სარგებლობის უფლების დავეკფვა, იქმნება სწორი.

საკითხი მე-95. ვინმე პირმა მესჯიდისათვის (მეჩეთისათვის) რაიმე ადგილი რომ ააგოს და მხოლოდ იქ, გარეშეთა შესასვლელად შესავალი გზა, რომ არ მიუჩინოს, ხსენებული ადგილი ვერ შეიქმნება მესჯიდის გამომხატველ მცნებად, რისთვისაც ის ადგილი კვლავ ირიცხება სახლკარის მიდამოებად, რაშიაც ყოველივე საკუთრებით მფლობელობა არის დაშვებული.

საკითხი მე-96. ზემო სართულში მესჯიდი და ქვემო სართულში მესჯიდის შესანახავად, რაიმე შემოსავალიანი ქონება ეყარი, რომ იქმნეს აგებული და დავეკფული, მიღებულია და დაშვებული. ხოლო უკვე აგებული ქვემო სართულიანი მესჯიდი დაირღვეს და ამისა ქვემო სართულში შემოსავალიანი ქონება, ეყარი და ზემო სართულში კი მესჯიდი რომ იქმნეს აგებული, ეს კი მიუღებელია და დაუშვებელი.

ნაწილი მე-4.

აღუნიშვნელად ვეკფად ჩარიცხულ და არა ჩარიცხულ ვეკფებს შეეხება.

საკითხი მე-97. ვინმე პირმა, თვისი კუთვნილი რომელიმე ქონება, ეყარი, რომ დავეკფოს, ხსენებული ეყარის, ქონების შემადგენელ მხარეებად, ნაწილებად მიღებული გზისა, წყლისა, სადენიდა მილების ხმარებისა და სარგებლობის უფლებების აღნიშნვნა კიდევაც რომ არ იყოს სავეკფოში მოხსენებული, დავეკფულ ქონებაზე. ეყარზე, დაქმედებარებით, ყველა ეს აღუნიშნავი მხარეებიც ჩაირიცხება ვეკფად.

საკითხი მე-98. რომელიმე სამოსახლო მიწა რომ დაივეკფება, ზედ აგებული ბინა მოშენებული ხეები, ჯირკვები და კუნძები, ვეკფის შედგენის დროს სავეკფოში მოხსენებულიც რომ არ იყოს, მაინც ყველა დაივეკფება და ვეკფად ჩაირიცხება.

საკითხი მე-99. ვეკფის შედგენის დროს. ხეებზე აღმოჩენილი ხილეულობა არ ირიცხება ვეკფად და რჩება დამვეკფელის საკუთრებად. აგრედვე რომელიმე ბოსტანი რომ დაივეკფება, მასში მოყვანილი მწვანეულობაც არ ირიცხება ვეკფად და რჩება დამვეკფელის საკუთრებად.

საკითხი მე-100. საზღვრებისა და მთელი მისი შემცველი მხარეების, ნაწილების განმარტებით დავეკფული ეყარის (შემოსავლიანი ქონება) ნაწილები, ვეკფის შედგენის დროს, ნაკლებად რომ იყოს აღნიშნული, შერიეთის მცნებით რაკი საზღვარი არის მიღებული, საზღვრებ შორის მოქცეული შემადგენელი ნაწილებიც, ჩაირიცხება ვეკფად მაგალითად: ქერვანსარაი, რომელიც შეიცავს 100-ს ოთახს და ვეკფის შედგენის დროს: ქერვანსარაი შეიცავს 30-ს ოთახსო, რომ იქმნეს სავეკფოში მოხსენებული და „საზღვრებიც სავსებით—აღნიშნულ საზღვრებ შორის მოქცეული 100 ოთახიც, სულერთიანად ჩაირიცხება ვეკფად. მაგრამ მის მიერ უკვე დავეკფული ეყარის საზღვრების ახსნის და განმარტების შემდეგ, ნაწილი დავეკფული ეყარისა, თუ მის მიერ იქმნება ორი-�о

გებული და ისევე თავის საკუთრებაში დატოვებული, იმ შემთხვევაში გამორიგებული ნაწილი ქონებისა, არ ჩაირიცხება ვეკფად და დარჩება ისევ თავის საკუთრებაში.

მაგალითად: ვინმე პირმა თავის სახლი, რომელიც შეიცავს საჯალაბოსა და სადარბაზოს, მთელი მისი საზღვრების ახსნა განმარტებით, „სადარბაზო დამივეკფებია და საჯალაბო კი ისევე ჩემს საკუთრებაში დამიტოვებიაო“ რომ სთქვას, მაშინ საჯალაბო რჩება ვეკფის გარეშე.

საკითხი მე-101. ვინმე პირმა სხვასთან საზიარო ქონებაში, „ჩემო წილი შეადგენს ამა და ამდენ ნაწილსო“, სთქვას თვისი წილის რაოდენობის აღნიშნით იგი რომ დავეკფოს და შემდეგ წილი საზარო ქონებაში მეტი რომ აღმოჩნდეს, აღმოჩენილი მეტი წილიც, ჩაირიცხება ვეკფად.

მაგალითად, ვინმე პირმა, სხვასთან საზიარო ქონებაში, „ჩემი წილის რაოდენობა შეადგენს ქონების მეოთხედს“ სთქვას და რომ დავეკფოს და შემდეგ კი წილი მისი მთელი ქონების ნახევარი რომ აღმოჩნდეს, აღმოჩენილი ზედმეტი წილიც ჩაირიცხება ვეკფად.

ნაწილი მე-5

შეეხება სნეულების მიერ დავეკფულ ქონებას, ეყარს და სხ.

საკითხი მე-102. ვინმე დავალიანებულის მიერ, თავის სასიკვდილო სენის ჟამს. გამასესხებელის უფლებათა გამაბათილებელ და დამარღვეველ საშუალებათა წამოყენების უფლებებს ადგილი და გასაგონი არა აქვს, უყურადღებოა.

ამასთან ერთად თავის ქონებაზე ზედმეტი ვალის მქონე პირმა, თავის რაიმე ქონება, თავის სასიკვდილო სენის ჟამს რომ დავეკფოს და თანაც გარდაიცვალოს, გამსესხებლებს აქვს უფლება, არ იცნან ხსენებული ვეკფი და თავიანთი ვალის გასანაღდებელ სანაწილეში შეატანინონ.

საკითხი მე-103. მემკვიდრეს არა მყოლე ვისიმესაგან თავის სასიკვდილო სენის ჟამს გამოღებული საჩუქარი, მთელი მისი ქონებიდან იქმნება მიღებული დაშვებული ამასთან ერთად სრულიად მემკვიდრეს არა მყოლე ვისმესაგან, თავის სასიკვდილო სენის ჟამს მთელი მისი ქონებისა, რაიმე საქველო მხარის სასარგებლოდ დავეკფვა, სწორია და მიღებული.

ასე რომ, მისი გარდაცვალების შემდეგ, ბეითელ-მალ-ის მმართველს (სახელმწიფო სალაროს მმართველს), უფლება არა აქვს შეეხოს დავეკფულ ქონებას.

საკითხი მე-104. მემკვიდრეს მყოლე ვისიმეს მიერ თავის სასიკვდილო სენის ჟამს გამოღებული საჩუქარი, მხოლოდ მთელი მისი ქონების მესამედიდან არის მიღებული და დაშვებული. თუ რომ მემკვიდრე, მესამედზე მეტისაც იქმნება თანახმა. მაშინ გამოღებული მთელი საჩუქარი იქმნება დაშვებული და მიღებული.

ასე რომ ვინმე პირმა, თავის სასიკვდილო სენის ჟამს, თავის ქონება აღრიცხვაში გატარებით რომ დავეკფოს და მემკვიდრეც დასტოვოს და ისე რომ გარდაიცვალოს, გარემოება სახეში მიღებული, თუ კი ხსენებული ქონების მესამედი არის დამაკმაყოფილებელი ვეკფისა, მემკვიდრე გინდ იყოს თანახმა და გინდ არა, ვეკფი მაინც იქნება სწორი და კანონიერი.

თუ არაა მესამედი ქონება ვეკფის დამაკმაყოფილებელი, იმ შემთხვევაში, მხოლოდ მემკვიდრეებს მიერ დასტურისა და თანხმობის გამოცხადებით იქნება მთელი იმ ქონების დავეკფვა სწორმ და კანონიერი.

და თუ არაა მემკვიდრე თანახმა, მაშინ ქონების რაოდენობის მესამედი დაივეკფება და ზედმეტს კი, მემკვიდრეები გადიტანებენ თავიანთ სამკვდრო სანაწილოში. და თუ მემკვიდრეები ზოგი იქნება თანახმა და ზოგი—არა, მაშინ ქონების რაოდენობის მესამედთან ერთად, თანხმობის და დასტურის გამომცხადლების ხვედრი წილებიც დაივეკფება. ამ სახით უარის გამომცხადებელი მემკვიდრე, დავეკფული ქონებიდან თავის ხვედრ სურვილისამებრ, რომ სხვას მიისაკუთრებს და შემდეგ დავეკფელ მიცვალებულს კიდევ სხვა ქონება რომ აღმოუჩნდეს და მაშინ ქონების მესამედიც ხსენებული ვეკფის დამაკმაყოფილებლად რომ განმტკიცდება, ხსენებული მემკვიდრეს მიერ წარმოებული თავის ხვედრი წილის განსაკუთრების სიგელი, მაინც არ იღრვევა და ისევე რჩება ძალაში. მაგრამ განსაკუთრებული წილის ღირებულებას მემკვიდრეს გადაახდევინებენ და ხსენებული წილის ნაცვლად, დასავეკფევად სხვა ქონება შეიძინება.

საკითხი მე-105-ე. ქონების რაოდენობის მესამედზე მეტისაც დავეკფვისათვის, გამოსაცხედებელი თანხმობა და დასტური დამოკიდებული, მხოლოდ დამვეკფელის სიკვდილზე.

მაშასადამე, დამვეკფელის სიცოცხლეში მემკვიდრეების თანხმობას და უარყოფას მნიშვნელობა არა აქვს.

მემედ აბაშიძე.

(გაგრძელება იქნება)

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დეკრეტი

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

სახელმწიფო და კომუნალური ქონების, აგრეთვე კოოპერატივთა ორგანიზაციების ქონების ცეცხლით მიყენებული ზარალისაგან სავალდებულო არა—საბეგრავი დაზღვევის შესახებ.

ამიერ-კავკასიის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო საბჭოს მიერ 1922 წლის სექტემბრის 15 თარიღით გამოცემული დეკრეტის თანახმად—ტფილისში სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს მოწყობის შესახებ და იმ მიზნით, რათა კერძო პირთა და კოლექტივების სარგებლობაში მყოფი სახელმწიფო და კომუნალური ქონება, აგრეთვე კოოპერატივების კუთვნილი ქონება უზრუნველყოფილ იქნეს ცეცხლით მიყენებული ზარალისაგან,—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყველა კერძო პირი და კოლექტივი (არტელი, ამხანაგობა, საზოგადოება, კომუნა, კოოპერატივი და სხვ.) ვის სარგებლობასა და განკარგულებაშიაც საიჯარო წესით ან,—იჯარის გარდა,—სხვა საფუძვლით არის სახელმწიფო და კომუნალური ქონება და საწარმო, მოვალეა ამა დეკრეტის გამოქვეყნების დღიდან ორი კვირის განმავლობაში, ხოლო კოოპერატივი-ერთი თვის განმავლობაში, წარადგინოს რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო დაზღვევის ამიერ-კავკასიის ფედერაციისათვის დაარსებულ სამმართველოში, ან მახლობელ სარაიონო დამზღვევ სააგენტოში სახელმწიფო დაზღვევის ორგანოს მიერ დაწესებული განცხადება ქვემოთ ჩამოთვლილ ქონებათა დაზღვევის შესახებ.

შენიშვნა: დასაზღვევად წარდგენილ უნდა იქნეს; ყველა ის სახელმწიფო და კომუნალური ქონება, რომელიც იჯარით. ან სარგებლობის სხვა სახით არის გაცემული: ხოლო კოოპერატივთა ქონებიდან—შენობა და საწარმოს მოწყობილობა.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული ვადის განმავლობაში სახელმწიფო და კომუნალური დაწესებულებანი, რომელთაც იჯარით ან სარგებლობის სხვა სახით გაცემული აქვთ სახელმწიფო და კომუნალური ქონება და საწარმო, მოვალეა წარუდგინოს სამმართველოს ან მახლობელ სარაიონო სააგენტოს ნუსხა ზემოდ დასახელებულ ქონებათა და საწარმოსი, და თანაც აღნიშნოს:

ა) მათი სახელწოდება, შედგენილობა და ადგილმდებარეობა:

ბ) საფუძველი, რომლის ძალითაც გადაეცა კერძო პირებს და კოლექტივებს (იჯარით თუ სხვა სახით) ხსენებული ქონება და საწარმო, აგრეთვე გადაცემის ვადა.

გ) ასეთი პირების და კოლექტივების სახელი და მისამართი.

3. მომავალში ამ სახელმწიფო და კოლექტიური ქონებისა და საწარმოს იჯარით ან სარგებლობის სხვა სახით გადაცემის დროს კერძო პირებისა და კოლექტივებისათვის, როგორც ის დაწესებულება, ვინც ამ ქონებას კერძო პირსა და კოლექტივს გადასცემს, ისე ის კერძო პირი და კოლექტივი, ვინც ამ ქონებას მიიღებს, მოვალეა ქონებას ან საწარმოს გადაცემის დღიდან ერთი კვირის განმავლობაში შეასრულოს ამა დეკრეტის პირველი და მეორე მუხლის მოთხოვნილება.

4. დაზღვევა იმ ქონებისა, რომლის სახელმწფო არა საბეგრავი-დაზღვევაც სავალდებულოა, სწარმოებს მოიჯარადრეთა და გამგეთა ხარჯით იმ შეფასების მიხედვით, რომელსაც დაადგენენ სახელმწიფო დაზღვევის ამიერ-კავკასიის სამმართველოს ორგანოები და თანახმად სატარიფო წესებისა და განაკვეთისა.

შენიშვნა: უკეთუ სახელმწიფო ან კომუნალური დაწესებულება, რომელსაც ხელშეკრულება აქვს დადებული მოიჯარადრესთან ან გამგესთან, ან ეს უკანასკნელნი არ დაეთანხმებიან იმ შეფასებას, რომელსაც მოახდენენ სახელმწიფო დაზღვევის ადგილობრივი ორგანოები, მათ შეუძლიანთ ამის შესახებ შეიტანონ განცხადება ადგილობრივ დამზღვევ სამმართველოში, ხოლო თუ ეს უკანასკნელი უარს იტყვის განცხადების დაკმაყოფილებაზე,—ასეთი განცხადება უნდა გაუგზავნონ სახელმწიფო დაზღვევის მთავარ სამმართველოს საბოლოო გადასაწყვეტად. მაგრამ ასეთი განცხადების შეტანა ვერ შეაჩერებს დაზღვევას და ქონების მფლობელს არ ანთავისუფლებს სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების ყველა კანონიერი მოთხოვნილების შესრულებისაგან და დასაზღვევი პრემიის გადასახადისაგან.

5. მოიჯარადრე და სხვა სახის გამგე იმ სახელმწიფო და კომუნალური ქონებისა და საწარმოსი, რომელიც დაზღვეულ უნდა იქნეს სახელმწიფო დაზღვევის წარმომადგენლები ხსენებული სახელმწიფო და კომუნალური ქონების და საწარმოს დასათვალიერებლად და გაუწიოს მათ სათანადო დახმარება; შეასრულოს და მონაწილეობა მიიღოს დაზღვევისათვის საჭირო ყველა დოკუმენტის და აქტის შედგენაში (აღწერილობისა, შეფასებისა. გეგმისა და სხვ.) და, საერთოდ, დაემორჩილოს სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევისათვის დადგენილ ყველა წესებს.

6. ამა დეკრეტის მოთხოვნილებათა დარღვევისათვის დამნაშავე თანამდებობის პირი, ან კერძო პირი, როგორც იჯარით ან სარგებლობის სხვა სახით ამღები სახელმწიფო ან კომუნალური ქონებისა, ისე ამ ქონების გამცემი. აგრეთვე ის პირი და დაწესებულება, რომელიც თავის დროზე არ დააზღვევს ამა დეკრეტის ძალით სავალდებულო არა—საბეგრავი სახით დასაზღვევ ქონებას,—მიცემულ იქნება კანონიერ,—დადგენილი წესისამებრ,—პასუხისგებაში, როგორც მთავრობის განკარგულებათა არ აღმსრულებელი. ამის გარდა,—ამ პირთ, იმ შემთვევევაში, უკეთუ ცეცხლისაგან დაზარალდა ხსენებული ქონება, რომელიც მათის მიზეზით არ იყო დაზღვეული, გადაჰხდებათ,—ურთიერთი პასუხის მგებლობით,—ის ზარალი, რაც სახელმწიფოს ან კომუნალურ მეურნეობას ცეცხლისაგან მოუვა.

7. ყოველი სარჩელი, რომელიც შეიძლება აღიძრას დაზღვევის სამმართველოს წინააღმდეგ,—განხილულ უნდა იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სასამართლო დაწესებულების მიერ; ამასთანავე სარჩელი შეტანილ უნდა იქნეს ამიერ-კავკასიის საფედერაციო სახელმწიფოს დაზღვევის სამმართველოს და მისი ადგილობრივი კონტორებისა და აგენტების სამყოფელი ადგილის მიხედვით.

8. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის ფედერაციის ფინანსთა სახალხო კომისარის რწმუნებული საქართველოში **ბ. ბიბინეიშვილი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი

ალ. სალარიძე.

1923 წ. იანვრის 13.

ტფილისი—სასახლე.

—

დეკრეტი

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისაროა საბჭოსი

1923 წ. იანვრის 15.

დაზღვევის ტარიფის ხარისხთა განაკვეთის თაობაზე—ამიერ-კავკასის სოც. საბჭ. რესპ. საკავშირო საბჭოს მიერ 1922 წლის დეკემბრის 8-ს გამოცემული დეკრეტის საყოველთაო ცნობისა და აღსრულებისათვის გამოქვეყნების შესახებ.

ამასთანავე საყოველთაო ცნობისა და აღსრულეაისათვის გამოქვეყნდება ამიერ-კავკასიის სოც. საბჭ. რესპ. საკავშირო საბჭოს დეკრეტი—1922 წლის დეკემბრის 8-ს თარიღითა—დაზღვევის ტარიფის ხარისხთა განაკვეთის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

მ. ორახელაშვილი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. ხალარიძე.**

—

დეკრეტი.

ამიერ-კავკასიის სოც. საბჭ. რესპუბლიკათა საკავშირო საბჭოსი.

1923 წ. დეკემბრის 8.

დამზღვევის ტარიფის ხარისხთა განაკვეთის შესახებ.

სოციალური დაზღვევის ფონდის შესახებ—საკავშირო საბჭოს მიერ 1922 წლის აგვისტოს 23-ის თარიღით გამოცემული დეკრეტის განსავითარებლად საკავშირო საბჭომ დაადგინა:

დაწესებულ იქნეს ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკებში სოციალური დაზღვევის გადასახადის შემდეგი განაკვეთი:

1. კერძო, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ საკონცესიო, საიჯარო წარმოებასა, დაწესებულებასა და მეურნეობასა და აგრეთვე იმ სახელმწიფო წარმოებისა და დაწესებულებისათვის, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ გადაყვანილია სამეურნეო ანგარიშზე, ან და მიწერილია ადგილობრივ სახსარზე:

ა) დროებითი უნარის უქონლობისა, დედობისა და დამატებით სხვაგვარ უზრუნველყოფისათვის: იმ წარმოებისა, დაწესებულებისა და მეურნეობისათვის, რომელიც მოსალოდნელ უბედურების საშიშროებასა და მავნებლობის მიხედვით მიეკუთვნება 1-ლ ხარისხს—სამუშაო სასყიდლის 6 პროც. მე-2-ე ხარისხ.—7 პროც, მე-3-ე ხარისხ.—8 პროც. და მე-4-ე ხარისხ.—9 პროც.

ბ) ინვალიდობისა და დაზღვეულთა სიკვდილის შემთხვევაში მათი ოჯახის წევრთა უზრუნველსაყოფად: იმ წარმოებასა და დაწესებულებისათვის, რომელიც მიეკუთვნება მოსალოდნელ უბედურების საშიშროებისა და მავნებლობის მიხედვით 1-ლ ხარისხს სამუშაო სასყიდლის—7 პროც. მე-2-ე ხარისხ.—8-ით, მე-3-ე ხარისხ.—9 პროც. და მე-4-ე ხარისხ.—10 პროც.

გ) უმუშევრობისათვის: წარმოებისა, დაწესებულებისა და მეურნეობისათვის დამოუკიდებლად მოსალოდნელ უბედურების საშიშროებისა და მავნებლობის მიხედვით ამა თუ იმ ხარისხის მიკუთვნებისა—სამუშაო სასყიდლის 21|2 პროც.

დ) სამკურნალო დახმარებისათვის: იმ წარმოებისა, დაწესებულებისა და მეურნეობისათვის, რომელიც მოსალოდნელ უბედურების საშიშროებასა და მავნებლობის მიხედვით მიეკუთვნება 1-ლ ხარისხს—სამუშაო სასყიდლის 51|2 პროც. მე-2-ე ხარისხ.—6 პროც. მე-3-ე ხარისხ. 61|2 პროც. და მე-4-ე ხარისხ.—7 პროც,

2. ადმინისტრატიული და საბჭოთა დაწესებულებისათვის, რომელიც იმყოფება სახელმწიფო ბიუჯეტზე (სახალხო კომისარიატები და მათი ორგანოები ადგილობრივ):

ა) დროებითი უნარის უქონლობისა, დედობისა და დამატებითი სხვაგვარ უზრუნველყოფისათვის—51|2 პროც.

ბ) ინვალიდობისა და დაზღვეულთა სიკვდილის შემთხვევაში მათი ოჯახის წევრთა უზრუნველსაყოფად—4 ნახევარი პროცენტი.

გ) უმუშევრობისათვის—2 პროცენტი.

დ) სამკურნალო დახმარებისათვის—2 პროცენტი.

3. იმ წარმოებისათვის, რომელიც იმყოფება სახელმწიფო ბიუჯეტზე:

ა) შრომის უნარის დროებით უქონლობისა, დედობისა და დამატებითი სხვა—გვარ უზრუნველყოფისათვის—6 ნახევარი პროცენტი.

ბ) ინვალიდებისა და დაზღვეულთა სიკვდილის შემთხვევაში მათი ოჯახის წევრთა უზრუნველსაყოფად—5 ნახევარი პროცენტი.

გ) უმუშევრობისათვის—2 პროცენტი.

დ) სამკურნალო დახმარებისათვის 3 პროცენტი.

4. სოციალური დაზღვევის გადასახადის აღნიშნული განაკვეთი ძალაში შედის 1923 წლის იანვრის 1-დან, ხოლო ამ ვადამდე ძალაში რჩება ამიერ-კავკასიის ცალკე რესპუბლიკებში დაწესებული განაკვეთი.

5. ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატს დაევალება შეიმუშავოს გადასახადის აკრეფისათვის სათანადო ინსტრუქცია.

ამიერ-კავკასიის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის დროებითი აღმსრულებელი **ვ. ბახუტოვი.**

ამიერ-კავკასიის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო საბჭოს მდივნის მოადგილე **ვ. ორლოვმალახოვი.**

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

დავკარგე მუდმივი ნებართვა სასახლეში შესვლის მილებული სასახლის კომენდანტისაგან № 124. გთხოვთ ჩაითვალოთ გაუქმებულად.

გრიგოლ ემანაულის ძე ლასკარი.

დავკარგე მოწმობა მოცემული ვანის აღმოსკომიდან მოცემული № 1756. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

ევტიხი ალ. ჩახუნაშვილი.

დეკანოზი ვარლამ მახარაძე და შვილები მისი ტიტო, ლადო, ქეთო, ჟორჟი, ოლია, დიდიკო და გენო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველის ძვირფასი მეუღლის, ხოლო დანარჩენების დედის

ელენე მაქსიმეს ასულის

მაზარამიძისა

№ 48 გარდაცვალებას. დაკრძალვა ქალ. ოზურგეთში იანვრის 18. 1—1

მანასე და ანტონ, ნატალია და ნატო თოთიბაძეები შვილებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ქალ. ოზურგეთში გარდაიცვალა პირველების საყვარელი და, მეორების მული ხოლო დანარჩენების მამიდა

ელენე მაქსიმეს ასული

მაზარამიძისა

№ 48 დაკრძალვა ქალ. ოზურგეთში იანვრის 18. 1—1

საქართველოს კოოპერატიული ბანკი

თანახმად გამგეობის დადგენილებისა ამა წლის 14 იანვრის თარიღით ამით აცნობებს საკოოპერაციო და საზოგადო დაწესებულებებს, რომ იმ შემთხვევაში თუ წარსული წლის ვადაგასულ დავალიანებას სავსებით გადაიხდიან ამა თვის 31-მდე ბანკი

იანგარიშების ოქროს კურსის

მხოლოდ 50%-ს.

1 თებერვლიდან კი კლიენტებს გადახდებათ ოქროს კურსის მთელი 100 პროცენტი.

273 1—1

დოკტორი გ. მეგრაგიანცი

„ყ. ასისტენტი ბერლინის უნივერსიტეტის კლინიკებში“

ფილტვების—ჭლექი და გულის ავათმყოფობისა. წამლობა და სურათის გადაღება სხივებით. რენტგენის სინათლის—ელეკტრონის წამლობის კაბინეთში.

იღებს 9—12 ს. დღის და 5—7 ს. საღ.

№ 215 ბებუთოვის ქუჩა № 23. 35

ტირაჟი 700 საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტეინის ქუჩ. № 2.